მთლიანი შიდა პროდუქტი 2014 წელს

2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 29 187,0 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8,7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 4,8 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დეფლატორი გაიზარდა 3,8 პროცენტით.

ცხრილი №1

	2013	2014*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	26 847,4	29 187,0
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	16 139,9	16 528,5
მშპ ერთ სულზე (ლარი)	5 987,6	6 499,7
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	3 599,6	3 680,8
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	3,3	4,8
მშპ-ის დეფლატორი (%)	-0,7	3,8

* წინასწარი მონაცემები

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორი 2005-2014* წლებში (პროცენტი)



* წინასწარი მონაცემები

ცხრილი №2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

NACE-ის სექცია	2013	2014*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	2 195,0	2 313,0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	210,3	204,5
დამამუშავებელი მრეწველობა	2 468,5	2 674,3
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	699,8	712,7
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	658,4	696,1
მშენებლობა	1 568,2	1 836,2
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	4 026,8	4 381,3
სასტუმროები და რესტორნები	526,2	579,3
ტრანსპორტი	1 789,2	1 929,4
კავშირგაბმულობა	662,0	717,6
საფინანსო საქმიანობა	706,1	831,9
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1 351,9	1 519,2
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	791,6	841,0
სახელმწიფო მმართველობა	2 365,4	2 478,9
განათლება	1 202,5	1 257,5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1 338,5	1 435,2
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1 069,6	1 084,5
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	29,6	28,4
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	-324,7	-388,7
მშპ საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი	**23 335,0**	**25 132.2**
(+) გადასახადები პროდუქციაზე	3 659,5	4,203,6
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	147,2	148,8
მშპ საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი	**26 847,4**	**29 187,0**

* წინასწარი მონაცემები

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია ვაჭრობის (17,4 პროცენტი) და მრეწველობის (17,1 პროცენტი) სექტორებს. შემდეგ პოზიციებს იკავებენ: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,5 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (9,9 პროცენტი), სოფლის მეურნეობა (9,2 პროცენტი), მშენებლობა (7,3 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომსახურების გაწევა (6,0 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა
2014* წელი



* წინასწარი მონაცემები

ცხრილი №3

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის მიმართ (პროცენტი)

NACE-ის სექცია	2013	2014*
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	11,3	1,5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	2,8	1,8
დამამუშავებელი მრეწველობა	8,6	3,9
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	5,1	-2,8
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	6,8	1,1
მშენებლობა	-10,5	13,5
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	5,4	6,1
სასტუმროები და რესტორნები	4,6	5,6
ტრანსპორტი	3,2	6,4
კავშირგაბმულობა	0,9	7,1
საფინანსო საქმიანობა	7,0	10,0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	9,6	8,5
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	3,1	2,6
სახელმწიფო მმართველობა	2,2	2,6
განათლება	2,4	2,1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0,0	2,2
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	1,6	0,1
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის	-0,6	-4,9
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	11,6	11,9
მშპ საბაზისო ფასებში	**3,8**	**4,6**
გადასახადები პროდუქციაზე	1,1	5,7
სუბსიდიები პროდუქციაზე	14,2	0,1
მშპ საბაზრო ფასებში	**3,3**	**4,8**
მშპ დეფლატორის ზრდა	-0,7	3,8

* წინასწარი მონაცემები

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა (13,5 პროცენტი),საფინანსო საქმიანობა (10,0 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (8,5 პროცენტი), კავშირგაბმულობა (7,1 პროცენტი), ტრანსპორტი (6,4 პროცენტი), ვაჭრობა (6,1 პროცენტი).

კლება აღინიშნა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილების სექტორში (2,8 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ასახულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე:



* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საინფორმაციო ფურცელი

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება კვარტალების მიხედვით ხორციელდება ყოველთვიური და ყოველკვარტალური მონაცემების საფუძველზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება მთლიანი შიდა პროდუქტის წლიური დაზუსტება წლიური მონაცემების გათვალისწინებით. წლიური მონაცემები, როგორც წესი, განსხვავდება კვარტალური მონაცემებისაგან.

გასული წლის წლიური მონაცემების მიღებასთან ერთად, ხელახლა ითვლება მიმდინარე წლის კვარტალური მონაცემებიც. მაგალითად, 2014 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემები თავდაპირველად გაანგარიშდა 2013 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე. 2014 წლის ნოემბერში, 2013 წლის წლიური მონაცემების დაზუსტებასთან და 2013 წლის კვარტალური მონაცემების ცვლილებასთან ერთად შეიცვალა 2014 წლის პირველი და მეორე კვარტალების მონაცემებიც. გარდა ამისა, 2015 წლის ნოემბერში 2014 წლის წლიური მონაცემების მიღების შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდება 2014 წლის კვარტალური და წლიური მაჩვენებლები.

საკონტაქტო პირები: ლევან გოგობერიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: lgogoberishvili@geostat.ge; info@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge